საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

**შეზღუდული პასუხისმგებლობის**
**საზოგადოება "აბ"-ს დირექტორი**
გიორგი იაშვილის

# განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **თელავის რაიონი, სოფელი რუისპირში, ს/კ 53.11.45.150** გააჩნია **სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) გადამუშავება და საამშენებლო ბლოკების წარმოების საამქრო**. საწარმოს წლიური წარმადობა ტოლია 20800 $მ^3$/წელ (33280 ტ/წელ) და 390000 ცალი/წელ საამშენებლო ბლოკის წარმოება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის თანახმად ის ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. საწარმომ გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება #2-1116, 20/11/2019 წ) ის დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ყოველივე აქედან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდა სკოპინგის ანგარიში.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე შპს "**აბ**" ვალდებულია პირველ ეტაპზე მოამზადოს სკოპინგის ანგარიში, ხოლო შემდგომ სკოპინგის დასკვნის საფუძველზე გზშ-ს ანგარიში.

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "**აბ**"-ს **სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) გადამუშავება და საამშენებლო ბლოკების წარმოების საამქრო** სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

გიორგი იაშვილი
დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№13050
"18" 08 2020
1/Cp